შპს “არქიდეა” ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.№45

ს/კ 401986801

ქ. თბილისი 22 დეკემბერი 2014 წ

კონსტრუქციული დასკვნა

შესავალი

ქალაქ თბილისში პეტრიაშვილის ქ. №46-ში (საკადასტრო კოდი **N 01.15.02.053.001**) შპს „მთაწმინდა 2006“-ს მიერ იგეგმება მრავალ სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. შპს „მთაწმინდა 2006“-ს თხოვნის საფუძველზე შპს „არქიდეა“-ს სპეციალისტების მიერ 2014 წლის 18 დეკემბერს შესწავლილი იქნა სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის მიმდებარედ არსებული (პეტრიაშვილის ქ. №44 (საკადასტრო კოდი **N** 01.15.02.053.007) , ერთ სართულიანი სახლი მანსარდით; რჩეულიშვილის ქ. №9 (საკადასტრო კოდი **N** 01.15.02.053.021) ორ სართულიანი სახლი და პეტრიაშვილის ქ. №48-ში (საკადასტრო კოდი **N** 01.15.02.053.020) მდებარე ერთსართულიანი სახლები) სახლების, ასევე, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სადემონტაჟო შენობების (ავტომანქანების სარემონტო შენობები და ადმინისტრაციული შენობა) ტექნიკური მდგომარეობა, მათი დემონტაჟის და დასაპროექტებელი შენობის მშენებლობის პროცესში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების შესაძლო ზეგავლენა საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ შენობებზე. სპეციალისტების მიერ ადგილზე ვიზუალურად შესწავლილი იქნა ზემოთ აღნიშნული შენობები და განხორციელდა არსებული მდგომარეობის ფოტო ფიქსაცია.

1. სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის მიმდებარედ არსებული შენობების მოკლე აღწერა

1.01 პეტრიაშვილის ქ. №44-ში მდებარე ერთ სართულიანი სახლი მანსარდით აგებული არის გასული საუკუნის მეორე ნახევარში, შენობა რკინაბეტონის ლენტური საძირკვლით ეფუძნება თიხნარ გრუნტს. შენობის საძირკველი მიწის ზედაპირიდან 1.50მ სიმაღლეზე არის ჩაღრმავებული. შენობის მზიდ კონსტრუქციას ქვიშა-ცემენტის დუღაბზე ბეტონის ბლოკის წყობით შესრულებული ურთიერთ გადამკვეთი კედლების რეგულარული სისტემა წარმოადგენს. პირველი სართულის გადახურვის დონეზე კედლები რკინაბეტონის სარტყელით არის შეკრული. შენობის გარედან ვიზუალური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მას არ გააჩნია რაიმე ისეთი სახის დეფორმაცია, რომელიც მიუთითებდეს მათი ზიდვის უნარის დაქვეითებაზე. (იხ. თანდართული ფოტო 1 და ფოტო 2, ფოტო 3).



ფოტო1 პეტრიაშვილის ქუჩის მხრიდან



ფოტო2 პეტრიაშვილის ქუჩის მხრიდან



ფოტო3 საპროექტო ტერიტორიის მხრიდან

1.02 რჩეულიშვილის ქ. №9-ში მდებარე ორ სართულიანი სახლიც აგებულია იმავე პერიოდში, და დაფუძნების პირობებითა და კონსტრუქციული გადაწყვეტებით ანალოგიურია წინა შენობისა. საძირკველის მიწის ზედაპირიდან ჩაღრმავების სიდიდე ამ შემთხვევაში შეადგენს 2.10 მეტრს. ვიზუალური გამოკვლევის შედეგად ამ შენობაზეც არ ფიქსირდება რაიმე სახის დაზიანება ან დეფორმაცია, რომელიც მის მზიდუნარიანობაზე უარყოფითად იმოქმედებს: (იხ . თანდართული ფოტო მასალა ფოტო 4 და ფოტო 5).



ფოტო 4 შენობის ხედი რჩეულიშვილის ქუჩის მხრიდან



ფოტო 5 შენობის ხედი საპროექტო ტერიტორიის მხრიდან

1.03 პეტრიაშვილის ქ. №48-ში მდებარე შენობები წარმოადგენს ერთსართულიან საცხოვრებელ სახლებს, რომელთაგან ნაწილი მოშორებულია საპროექტო ტერიტორიას საკმაო მანძილით, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მდგარ შენობებს ვიზუალური შესწავლის საფუძველზე დაზიანებები არ აღენიშნება. აღნიშნულ შენობებს გააჩნია მცირე ჩაღრმავების (1-მდე მიწის ზედაპირიდან) საძირკვლები, მათ მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს აგურის და ბლოკის წყობით შესრულებული მზიდი კედლები. (იხ . თანდართული ფოტო მასალა ფოტო 6, 7).



ფოტო 6 ხედი პეტრიაშვილის ქუჩის მხრიდან



ფოტო 7 ხედი საპროექტო ტერიტორიის მხრიდან

2. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობების მოკლე აღწერა

საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია ავტომანქანების სარემონტო "ბოქსები" და ერთი ადმინისტრაციული შენობა, რომლებიც მშენებლობის დაწყებამდე დაექვემდებარება დემონტაჟს.

ავტომანქანების სარემონტოები წარმოადგენს ერსართულიან მარტივი კონსტრუქციის შენობებს. ადმინისტრაციული შენობა წარმოადგენს ერთსართულიან შენობას სარდაფით. იგი რკინაბეტონის ლენტური საძირკვლით ეფუძნება თიხნარ გრუნტს, საძირკვლის ჩაღრმავება შეადგენს 2.50მ-ს. შენობის მზიდი კონსტრუქცია შედგება ასაწყობი რკინაბეტონის მსხვილი ბლოკებისგან შედგენილი მზიდი კედლებით, სართულშუა გადახურვა განხორციელებულია ასაწყობი ღრუტანიანი ფილებით: (იხ. თანდართული ფოტო მასალა).



ფოტო 8 ავტომანქანების სარემონტოების ხედი ეზოს მხრიდან



ფოტო 9 ავტომანქანების სარემონტოების ხედი ეზოს მხრიდან



ფოტო 10 ავტომანქანების სარემონტოების ხედი ეზოს მხრიდან



ფოტო 11 ავტომანქანების სარემონტოების ხედი ეზოს მხრიდან



ფოტო 12 ავტომანქანების სარემონტოების ხედი ეზოს მხრიდან



ფოტო 13 ადმინისტრაციული შენობის ხედი ეზოს მხრიდან

საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული შენობების დემონტაჟი არ არის დაკავშირებული რაიმე ტექნიკურ სირთულეებთან და არ წარმოადგენს საშიშროებას მომიჯნავე შენობებისთვის.

შენობების დემონტაჟისას მიღებული უნდა იქნეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული უსაფრთხოების ღონისძიებები.

3. დასაპროექტებელი შენობის მოკლე აღწერა.

დასაპროექტებელი შენობა არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის მიხედვით წარმოადგენს მრავალ სართულიან საცხოვრებელ სახლს. ის დაპროექტებული არის 13 მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სართულით. შენობის არქიტექტურული ნული ნიშნული შეესაბამება ±0.00=509.90 აბსოლუტურ ნიშნულს ზღვის დონიდან. ნული ნიშნულიდან შენობის უმაღლესი წერტილის სიმაღლე შეადგენს +45.60 მეტრს, ავტოფარეხების იატაკის ნიშნული არის -2.90 მეტრი.

კონსტრუქციული გადაწყვეტის მიხედვით შენობა განეკუთვნება ჩარჩო-კავშირებიანი ნაგებობების ტიპს, რომლის მზიდი ელემენტებიცაა: მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილა, მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, დიაფრაგმები, სართულშუა გადახურვები და კიბის მარშ-ბაქნები. ჩატარებული გეოლოგიური გამოკვლევის მიხედვით შენობა უნდა დაფუძნდეს თიხნარ გრუნტებზე (ფენა №2).

ქვაბულის ძირის სავარაუდო ნიშნული იქნება -3.90, რომელიც მინიმუმ 2.00 მეტრით ჩაცდება მიმდებარედ არსებული შენობების საძირკვლებს. ქვაბულის ფერდოების მდგრადობის უზრუნველსაყოფად მოეწყობა ქვაბულის ფერდების გამაგრების ღონისძიებები.

ქვაბულის მიმდებარედ არსებულ შენობებთან მოეწყობა ხიმინჯების ფარდა , რომელიც დაფუძნდება კლდოვან გრუნტებზე. აღნიშნული ხიმინჯების ფარდის მოწყობა უზრუნველყოფს დასპროექტებელი სახლისა და არსბული შენობების დამოუკიდებლად მუშაობას. ახალი შენობის მონტაჟის შედეგად განვითარებულ დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობას პრაქტიკულად გავლენა არ ექნება არსებული შენობების ქვეშ გრუნტში განვითარებულ დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ქალაქ თბილისში პეტრიაშვილის ქ. №46-ში შესაძლებელია განხორციელდეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელიც ხელს არ შეუშლის მიმდებარე ნაგებობების ნორმალურ და უსაფრთხო ექსპლუატაციას.

კონსტრუქტორი დ. ქევანიშვილი 

ბეტონის ბორდიურის მოწყობა 3900+830=4730 მ?

ბეტონის ბორდიურის მოწყობა

ა. 1:150


ს/კ 01:15:02:053:020
ს/კ 01:15:02:053:021
ს/კ 01:15:02:053:007
ქუჩა
ბეტონის ბორდიური
ბეტონის ბორდიური (ჭახვა)
ტროტუარი
ასფალტის საფარი
ასფალტის საფარი (ჭახვა)
ბეტონის ბორდიური (ჭახვა)
ბეტონის ბორდიური

განმარტება: თბილისში, პეტრიაშვილის ქ№45-ში დასაპროექტებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის კონსტრუქციულ პროექტში გათვალისწინებულია ქვაბულის შემოზღუდვა ხიმინჯების ფარდით პერიმეტრის იმ ნაწილებში, რომლებიც ესაზღვრება მიმდებარე შენობებს და ნაგებობებს. აღნიშნული ღონისძიება უზრუნველყოფს როგორც ქვაბულის გამაგრებას მშენებლობის დროს, ასევე, მიმდებარე შენობა-ნაგებობების დაცვას დასაპროექტებელი შენობის ყოველგვარი ზეგავლენისაგან, როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე შენობის შემდგომი ექსპლუატაციის დროს (ქვაბულის ჩამონგრევა, გრუნტში დამატებითი ძაბვების გავრცელების შედეგად მიმდებარე შენობების ჯდენა). შედეგად, მიმდებარე შენობა-ნაგებობების სიმტკიცეს და მდგრადობას არავითარი საფრთხე არ ექმნება.





ფურცლის ფორმატი A2	ქ. თბილისი 2015
	ფაილის დასახელება:

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნები:

პროექტის სახელწოდება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – პეტრიაშვილის ქ№45, თბილისი

დამკვეთი:

შპს „მთაწმინდა 2006“

შემსრულებელი:

შ.პ.ს. "არქიდეა"

ვაჟა-ფშაველას გამზ. №45,
თბილისი, საქართველო,
ტელ: +995 599 70 80 13

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
მთავარი არქიტექტორი	გ. ქევანიშვილი	[ხელმოწერა]
მთავარი კონსტრუქტორი	გ. ჯავახიშვილი	[ხელმოწერა]
შეასრულა	გ. ჯავახიშვილი	[ხელმოწერა]
შეამოწმა	გ. ჯავახიშვილი	[ხელმოწერა]

პროექტის №: -	ნახაზის სახელწოდება: ქვაბულის ჭრილები -4.110 ნიშნულზე
თარიღი: 03 აპრილი 2015	
მასშტაბი: 1:100 @ A2	
კონსტრუქციული პროექტი	
სტადია	მუშა პროექტი
ნახაზის #:	კ-2 / რევიზია: 00